

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი

თავი I

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ბეგმა	2024 წლის პროექტი		
			სულ	საკუთარი	საბ. ბიუჯეტი
შემოსავლები	24,213.3	26,759.2	15,345.8	15,167.7	178.1
გადასახადები	8,502.0	9,801.2	11,585.3	11,585.3	0.0
გრანტები	13,737.0	14,042.2	1,478.1	1,300.0	178.1
სხვა შემოსავლები	1,974.3	2,915.8	2,282.4	2,282.4	0.0
ხარჯები	13,314.1	15,442.1	14,750.8	14,572.7	178.1
შრომის ანაზღაურება	6,937.4	8,264.3	9,140.6	9,003.2	137.4
საქონელი და მომსახურება	4,584.6	5,564.6	3,931.1	3,905.4	25.7
პროცენტი	41.1	35.0	35.0	35.0	0.0
სუბსიდიები	237.9	278.9	290.0	290.0	0.0
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	850.5	904.5	911.0	906.0	5.0
სხვა ხარჯები	662.6	394.8	443.1	433.1	10.0
საოპერაციო სალდო	10,899.2	11,317.1	595.0	595.0	0.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	10,174.7	14,496.6	522.0	522.0	0.0
ზრდა	10,349.0	15,096.6	922.0	922.0	0.0
კლება	174.3	600.0	400.0	400.0	0.0

მთლიანი სალდო	724.5	-3,179.5	73.0	73.0	0.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	641.6	-3,262.5	-10.0	-10.0	0.0
ზრდა	3,262.5	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	2,620.9	3,262.5	10.0	10.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-82.9	-83.0	-83.0	-83.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	82.9	83.0	83.0	83.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	82.9	83.0	83.0	83.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი		
			სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი
შემოსულობები	24,387.6	27,359.2	15,745.8	15,567.7	178.1
შემოსავლები	24,213.3	26,759.2	15,345.8	15,167.7	178.1
არაფინანსური აქტივების კლება	174.3	600.0	400.0	400.0	0.0
გადასახდელები	23,746.0	30,621.7	15,755.8	15,577.7	178.1
ხარჯები	13,314.1	15,442.1	14,750.8	14,572.7	178.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	10,349.0	15,096.6	922.0	922.0	0.0
ვალდებულებების კლება	82.9	83.0	83.0	83.0	0.0
ნაშთის ცვლილება	641.6	-3,262.5	-10.0	-10.0	0.0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 15 345,8 ათასი ლარით, მათ შორის:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი		
			სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი
შემოსავლები	24,213.3	26,759.2	15,345.8	15,167.7	178.1
გადასახადები	8,502.0	9,801.2	11,585.3	11,585.3	0.0
გრანტები	13,737.0	14,042.2	1,478.1	1,300.0	178.1
სხვა შემოსავლები	1,974.3	2,915.8	2,282.4	2,282.4	0.0

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახადები 11 585,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი		
			სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი
გადასახადები	8,502.0	9,801.2	11,585.3	11,585.3	-
ქონების გადასახადი	2,413.0	2,300.0	2,400.0	2,400.0	-
სხვა გადასახადები (დღგ)	6,089.0	7,501.2	9,185.3	9,185.3	-

მუხლი 5. გრანტები

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გრანტები 1478,1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი		
			სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი
გრანტები	13,737.0	14,042.2	1478,1	1300,0	178.1

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1,013.8	1,238.6	178.1	-	178.1
გათანაბრებითი ტრანსფერი	-	-	-	-	-
სპეციალური ტრანსფერი	1,450.0	1,300.0	1300,0	1300,0	-
კაპიტალური ტრანსფერი	10,584.6	11,453.6	-	-	-
გრანტები მიმდინარე დანიშნულების	688.6	50.0	-	-	-

მუხლი 6. სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2 282,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროგნოზი		
			სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი
სხვა შემოსავლები	1,974.3	2,915.8	2,282.4	2,282.4	-
შემოსავლები საკუთრებიდან	1,656.7	2,320.8	1,687.4	1,687.4	-
პროცენტები	27.4	30.0	30.0	30.0	-
დივიდენდები			-		-
რენტა	1,629.3	2,290.8	1,657.4	1,657.4	-
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის	1,527.7	2,220.8	1,657.4	1,657.4	-
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისთვის	1,364.2	1,200.0	1,200.0	1,200.0	-
მოსაკრებელი წიაღისეულით სარგებლობისთვის	8.9	200.0	200.0	200.0	-
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისთვის	51.3	-	-	-	-
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი	103.3	820.8	257.4	257.4	-
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან	101.6	70.0	-	-	-

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	62.8	65.0	65.0	65.0	-
ადმინისტრაციული მოსაკრებელი და გადასახდელები	62.8	65.0	65.0	65.0	-
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	12.4	35.0	35.0	35.0	-
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე	45.1	30.0	30.0	30.0	-
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	5.3	-	-	-	-
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	-	-	-	-	-
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	230.7	500.0	500.0	500.0	-
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში		495.0	495.0	495.0	-
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო	230.7	5.0	5.0	5.0	-
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	24.1	30.0	30.0	30.0	-

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით მიხედვით

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯები 14 750,8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი		
			სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი
ხარჯები	13,314.1	15,442.1	14,750.8	14,572.7	178.1
შრომის ანაზღაურება	6,937.4	8,264.3	9,140.6	9,003.2	137.4
საქონელი და მომსახურება	4,584.6	5,564.6	3,931.1	3,905.4	25.7

პროცენტი	41.1	35.0	35.0	35.0	0.0
სუბსიდიები	237.9	278.9	290.0	290.0	0.0
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	850.5	904.5	911.0	906.0	5.0
სხვა ხარჯები	662.6	394.8	443.1	433.1	10.0

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 522,0 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 922,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 400,0 ათასი ლარის ოდენობით.

ზრდა:

პროგ. კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
01 00	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	14.5	178.5	160.0
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	9,852.9	14,065.1	460.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	-	20.0	264.7
04 00	განათლება	255.6	260.5	3.0
05 00	კულტურა, რელიგია, გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	221.5	572.5	34.3
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4.5	-	-
სულ		10,349.0	15,096.6	922.0

კლება:

არაფინანსური აქტივების კლება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
ძირითადი აქტივები	54.3	-	-
არაწარმოებული აქტივები	120.0	600.0	400.0

სულ	174.3	600.0	400.0
-----	-------	-------	-------

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია.

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3,849.7	4,713.1	5,313.9
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3,806.4	4,676.1	5,193.9
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3,806.4	4,586.1	5,093.9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	90.0	100.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	43.3	37.0	120.0
702	თავდაცვა	168.4	190.7	-
7025	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	168.4	190.7	-
704	ეკონომიკური საქმიანობა	10,162.7	14,432.8	500.0
7045	ტრანსპორტი	5,474.8	4,620.4	-
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,474.8	4,620.4	-
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	4,687.9	9,812.4	500.0
705	გარემოს დაცვა	1,272.1	1,817.6	1,660.0
7051	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1,211.8	1,737.6	1,570.0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	60.3	80.0	90.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	582.3	582.3	740.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	15.1	-	-
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	567.2	582.3	740.0

707	ჯანმრთელობის დაცვა	179.1	200.0	715.6
7073	საავადმყოფოების მომსახურება	-	-	530.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	179.1	200.0	185.6
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3,344.6	3,897.0	3,250.3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,202.4	1,483.5	1,065.3
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2,089.0	2,303.5	2,080.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	53.2	110.0	105.0
709	განათლება	2,893.3	3,509.2	2,688.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,885.4	2,097.5	2,563.0
7092	ზოგადი განათლება	771.7	1,394.4	100.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	236.2	17.3	25.0
710	სოციალური დაცვა	1,293.8	1,279.0	888.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1,293.8	1,279.0	888.0
	სულ	23,746.0	30,621.7	15,755.8

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 73,0 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 595,0 ათასი ლარით.

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	10,899.2	11,317.1	595.0
მთლიანი სალდო	724.5	-3,179.5	73.0

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 10,0 ათასი ლარით.

ფინანსური აქტივების კლება 10,0 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2024 წლის განმავლობაში.

დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის პროექტი
ზრდა	3,262.5	0.0	0.0
კლება	2,620.9	3,262.5	10.0
სულ	641.6	-3,262.5	-10.0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-83,0) ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ვალდებულება წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახადების დაფინანსების მიზნით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სარეზერვო ფონდი განისაზღვროს 100,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 დეკემბრის N9 დადგენილების „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მერის მიერ;

თავი II

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 14. ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები

I პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურული მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

1.2 პროგრამა - გარე განათება და ელმომარაგება (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის აღწერა :

პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გაფართოებას. ახალი ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით გარე განათების LED სანათების მოწყობას, ასევე მოძველებული სანათების ახალი სანათებით ჩანაცვლებას. ღამის საათებში მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა

კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. პროგრამით ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების დაფარვა.

პროგრამის მიზანი:

ღამის საათებში მოსახლეობის მ.შ. ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგებით უზრუნველყოფა.

1.2.1. ქვეპროგრამა - გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (ქვეპროგრამის კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ღამის განათების უზრუნველყოფას, რომლის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

1.2.2. ქვეპროგრამა 9 გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა (ქვეპროგრამის კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის აღწერა:

2024 წელს განხორციელდება გარე განათების ახალი ბოძების, განათების ფარების და ელ. ხაზების მოწყობა(ქსელის გაფართოება).

ქვეპროგრამის მიზანი:

გარე განათების ახალი სანათების მოწყობა და გარე განათებით ახალი გზების მონაკვეთების უზრუნველყოფა.

1.2.3. ქვეპროგრამა - გარე განათების და ელექტროენერჯის ხარჯი (ქვეპროგრამის კოდი 02 02 03)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების (დასახლებულ ერთეულებში) და გარე განათების მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების დაფარვა.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობების და გარე განათების ქსელების ელ.მომარაგებით უზრუნველყოფა.

1.2.4. ქვეპროგრამა - ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისათვის (ქვეპროგრამის კოდი 02 02 04)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში თანამედროვე ენერგოეფექტური სანათების მოწყობას. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა გაიმარჯვა ევროკომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში პროექტით „ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“. პროექტი გულისხმობს ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელებას და განახლებადი ენერჯის მოხმარების წამახალისებელი პოლიტიკის გატარებას.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა ახალი ენერგო ეფექტური განათების სისტემის შექმნა.

1.4 პროგრამა -საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში საზოგადოებრივი დანიშნულების ინფრასტრუქტურული სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, დაგეგმილია მოსახლეობის დასვენებისა და გართობის მიზნით მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი სკვერების, პარკების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში საზოგადოებრივი დანიშნულების ინფრასტრუქტურული სივრცეების მოწყობა;

მოსახლეობისთვის დასვენებისა და გართობის მიმზიდველი გარემოს შექმნა.

1.4.1. ქვეპროგრამა - სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 02 04 01)

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ხორციელდება სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია, მოსახლეობის დასვენებისა და გართობის მიზნით მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი და მიმზიდველი გარემოს შექმნა. ქვეპროგრამის ფარგლებში, სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის მიზნით ხორციელდება შემომზღუდავი დეკორაციული ღობეების მოწყობა, სკვერებში და პარკებში მწვანე სივრცეების, ფეხითმოსიარულეთა ბილიკების, ატრაქციონების, ფანჯატურების და სხვა დასვენების და გართობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. აღნიშნული ქვეპროგრამა გათვალისწინებულია შემდეგი პარკებისთვის და სკვერებისთვის: 9 აპრილის , ანა კალანდაძის , ნოდარ დუმბაძის, მდინარე ორპირას , კრიმანჭულის, ხიდისთავის, ბახმაროს და ნოე რამიშვილის.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა და ვიზიტორთა დასვენებისა და გართობის მიზნით ღია საზოგადოებრივი სივრცეების შექმნა.

1.4.2 ქვეპროგრამა - საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია (ქვეპროგრამის კოდი 02 04 02)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი და კომფორტული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებში, ადმინისტრაციული შენობების კეთილმოწყობა და შენობების სარეაბილიტაციო - სარემონტო სამუშაოები.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება.

1.5. პროგრამა - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

პროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტაციებით უზრუნველყოფა.

1.8. პროგრამა - ზედამხედველობა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 08)

პროგრამის აღწერა:

სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სადიებო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება; დამუშავებული პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო სრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადება. შესრულებული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის დადგენის მიზნით მიმდინარე და დასრულებულ სამუშაოებზე ეტაპობრივი ექსპერტიზის განხორციელება.

პროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტაციებით უზრუნველყოფა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი.

II პრიორიტეტი: დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

2.1. პროგრამა - მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების დეზინფექცია, მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში

თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 350 ურნებში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; ქალაქის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 1 ნაგავმზიდი, ხოლო მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებისა და დაბების ტერიტორიიდან გატანას მოემსახურება 2 ნაგავმზიდი. დღეს არსებული სიტუაციით მუნიციპალიტეტში ყოველდღიურად სუფთავდება 42500 კვ.მ ფართობი, რომელსაც ახორციელებს 18 მეეზოვე.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.

2.2. პროგრამა - მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში არსებულ სკვერებსა და პარკებში მცენარეთა ფიტო-სანიტარიული და ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორება, მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა. განხორციელდება ახალი ხე-მცენარეების და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა. უზრუნველყოფილი იქნება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 4 ერთეული, 8000 კვმ საერთო ფართობის სკვერი, პარკი და ტყე-პარკი. მ.შ. ქალაქის ტერიტორიაზე 3 ერთეული.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მცენარეთა ფიტო-სანიტარიული მდგრადობის შენარჩუნება, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა.

III პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

3.1. პროგრამა - სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 22 საბავშვო ბაღი 568 აღსაზრდელით, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მომავალი“. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია

264 თანამშრომელი, მათ შორის 11 კაცი და 253 ქალი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. პროგრამით დაგეგმილია სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამასთან პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი აღზრდის წარმატებულ პედაგოგთა შრომის სტიმულირება და წახალისება.

პროგრამის მიზანი:

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელშეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად.

3.2. პროგრამა - განათლების სისტემის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის აღწერა:

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. დაფინანსდება ისეთი აქტივობები, ღონისძიებები და პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების უფრო გააქტიურებას და განათლების პოპულარიზაციას. ასევე, განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსწავლეთა სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების უზრუნველყოფა.

პროგრამის მიზანი:

ზოგადი განათლების ხელშეწყობა მუნიციპალური პროგრამებით.

3.3. პროგრამა - არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს საჯარო სკოლებში ოქორსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების დაჯილდოებას შესაბამისად არაუმეტეს 500 და 300 ლარისა. ასევე, დაფინანსდება მედიაპროექტ „ეტალონის“ ფარგლებში „ჩოხატაურის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენი კონკურსის ორგანიზება.

პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.

IV პრიორიტეტი : კულტურა, რელიგია, გენდერული თანასწარობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

4.1. პროგრამა - სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. განხორციელდება ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის მიზანი:

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

4.1.1. ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტის და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი (ქვეპროგრამის კოდი 05 01 05)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, რომელიც ემსახურება მომავალი თაობების პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას, მოეწყობა შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობებში.

ქვეპროგრამის მიზანი:

სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა და ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სპორტულ სკოლებსა და სექციებში გაერთიანებული ახალგაზრდა სპორტსმენების ხელშეწყობა. მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენების მონაწილეობას ხელშეწყობა სხვადასხვა რანგის გასვლით სპორტულ ტურნირებსა და შეჯიბრებებში.

4.1.2. ქვეპროგრამა - სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია მშენებლობა (ქვეპროგრამის კოდი 05 01 06)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ითვალისწინებს სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვას, რეაბილიტაციას და მშენებლობას. სპორტული მოედნების მზადყოფნაში მოყვანას დაგეგმილი და ჩასატარებელი მატჩებისათვის და ღონისძიებებისათვის.

ქვეპროგრამის მიზანი:

სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

4.1.3. ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი „ჯანი და ღონე“ (ქვეპროგრამის კოდი 05 01 07)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი „ჯანი და ღონე“ და მიზნად ისახავს რაგბის პოპულარიზაციას, ჩოხატაურის რაგბის ტრადიციების აღდგენა განვითარებას, მასობრივი სპორტის ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის მიზანი:

ლელოს და რაგბის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა, კლუბებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობის უზრუნველყოფა

4.1.4. ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ბახმარო“ (ქვეპროგრამის კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო კლუბი "ბახმარო". ასევე ბავშვთა სამი ასაკობრივი გუნდი: U-13, U-15 და „ბახმარო-2“.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

4.2. პროგრამა - კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები ჩატარება.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები, დაფინანსდება კულტურის ცენტრი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი, მოხდება საახალწლო ღონისძიებების გამართვა.

პროგრამის მიზანი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია.

4.2.1. ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (ქვეპროგრამის კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობას, დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები: საახალწლო კონცერტი, საშობაო სპექტაკლი, ღონისძიება-წლის ნომინაციები, ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, პასკის ფესტივალი, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ღონისძიება „შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს“, ნოდარ დუმბაძისადმი მიძღვნილი კვირეული, სპექტაკლის პრემიერა, ფერისცვალების დღესასწაული, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაული, საანგარიშო კონცერტი და სხვა.

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურის განვითარების ხელშეწყობა, გურული ტრადიციებისა და ფოლკლორის პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ;

4.2.2. ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება (ქვეპროგრამის კოდი 05 01 09)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, რომელიც აერთიანებს სამუსიკო და სამხატვრო სკოლებს და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს.

ქვეპროგრამის მიზანი:

ზავშვებსა და მოზარდებში მუსიკალური , სამხატვრო და სახელოვნებო ცოდნის გაღრმავების ხელშეწყობა.

4.2.3. ქვეპროგრამა - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი (ქვეპროგრამის კოდი 05 01 10)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი, რომელიც აერთიანებს სამუზეუმო და საბიბლიოთეკო გაერთიანებებს და თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეას.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და პოპულარიზაცია; არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;

4.3. პროგრამა - საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის აღწერა:

ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, ახალგაზრდული ინიციატივებისა და პროექტების მხარდაჭერა და დაფინანსება, სხვადასხვა სახის ინტელექტუალური კონკურსების ჩატარება. ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი წინადადებების გათვალისწინება. სამთავრობო და არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობა.

პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდული ინიციატივების, პროექტებისა და წინადადებების განხორციელების ხელშეწყობა და დაფინანსება და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა

4.3.1. ქვეპროგრამა - ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 03 01)

ქვეპროგრამის აღწერა:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით, გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსება.

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება თვითმმართველობის საკითხებზე

4.3.2. ქვეპროგრამა - საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობა (ქვეპროგრამის კოდი 05 03 02)

ქვეპროგრამის აღწერა:

ახალგაზრდების ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე ღონისძიებების განხორციელება.

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალგაზრდების ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების ხელშეწყობა.

4.4. პროგრამა - რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში მოხდება შემოქმედის ეპარქიის განვითარების ფონდის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა რომელიც მოხმარდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დაფინანსებას.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა.

4.5. პროგრამა - გენდერული თანასწორობა (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის აღწერა:

ჩოხატაურის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკაში გენდერული მიდგომების გათვალისწინება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისას (საჯარო შეხვედრები, დისკუსიები, სოფლის კრებები და სხვა) გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინების ხელშეწყობა, გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალთა

საჭიროებებისა და პრიორიტეტების კვლევა. გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მუნიციპალური პროგრამების და პროექტების შემუშავება და განხორციელება, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით პროექტების დაფინანსება, ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე სკოლის მოსწავლეების, ახალგაზრდების და სკოლის პედაგოგების ინფორმირებულობის გაზრდა, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი მოსახლეობის გენდერულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება.

პროგრამის მიზანი:

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა.

4.5.1. ქვეპროგრამა - გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა (ქვეპროგრამის კოდი 05 05 01)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას და მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის მიზანი:

გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

4.5.2. ქვეპროგრამა - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება (ქვეპროგრამის კოდი 05 05 02)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით კონკურსის გამოცხადება ადგილობრივი ქალი მეწარმეებისთვის, სადაც ისინი კონკურსში გამარჯვების შედეგად მოიპოვებენ შესაბამის დაფინანსებას.

2023 წელს ჩატარებული შშმ პირების დედების ფოკუს ჯგუფების კვლევის საფუძველზე შშმ პირთა დედებისთვის დასაქმებისა და შემოსავლების მიღების ხელშეწყობის მიზნით მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის დაფინანსება, თითოეულ ბენეფიციარზე არაუმეტეს 1 500 (ათას ხუთასი) ლარისა.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება.

*V პრიორიტეტი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
(პროგრამული კოდი 06 00)*

5.1. პროგრამა - ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში არსებული 2 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიდსიტუაციის გაკონტროლება ასევე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა.

5.1.1. ქვეპროგრამა - ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (ქვეპროგრამის კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის

ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიულ ფუნქციები: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობის დაცვაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.; მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებსა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობა, სოციალური მობილიზაცია; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება.

ახალი ვირუსის COVID-19 -ის ეპიდემიოლოგიური კონტროლი ადგილობრივ დონეზე, არსებული რეგულაციების მონიტორინგი.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი.

5.1.2. ქვეპროგრამა - მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება (ქვეპროგრამის კოდი 06 01 02)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები, სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 200 000-მდეა. სამედიცინო

მომსახურების თანხა განისაზღვრება 1000 ლარამდე გადასახდელის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსების თანხა შეადგენს 300 ლარს, ხოლო 1000 ლარზე მეტი გადასახდელის შემთხვევაში 30%-ს, მაგრამ არაუმეტეს 800 ლარისა.

2. 0-დან 18 წლამდე ასაკის გულით თანდაყოლილი პათოლოგიით (გულის მანკით) ეპილეფსიით, ლეიკემიით, ცერემბრალური დამბლით დაავადებულთა სტაციონალური მკურნალობის ხარჯის თანადაფინანსება.წლის განმავლობაში 500 ლარი.

3.ონკოდაავადებულთა სამედიცინო მომსახურება, წლის განმავლობაში 100 ლარი.

4.შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სტაციონარული სამედიცინო მომსახურები თანადაფინანსება და მედიკამენტების შესაძენაზე დახმარება,ბენეფიციარისათვის სტაციონარული სამედიცინო მომსახურების გადასახდელი თანხა 1000 (ათასი) ლარის ჩათვლით ანაზღაურდება არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარით, ხოლო 1000 (ათასი) ლარზე მეტი 30% (ოცდაათი) პროცენტით.

5.მეტყველების დარღვევათა კორექციის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება, წლის განმავლობაშ 500 ლარი.

6.სოციალურად დაუცველი 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პირების მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევების თანადაფინანსება, 25 ლარის ოდენობით.

7. 0-დან 18 წლამდე ასაკის პირების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების შეძენაზე დახმარება,ბენეფიციარისათვის სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება თანადაფინანსების სახით განისაზღვროს არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარით, ხოლო მედიკამენტების ღირებულება 100 ლარით.

